

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ან/და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს და შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.

**მუხლი 2. სწავლების ენა**

1. უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული. შესაძლებელია ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების სრულად ან საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების უცხო ენაზე განხორციელება, შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში.

2. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიშვება მხოლოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან შესაბამისი ნებართვის მოპოვების შემთხვევაში.

**მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დამტკიცება/ცვლილების შეტანა**

1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი იგეგმება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესის და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ სხვა წესებზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის და თანდართული სილაბუსების შესაბამისად. სასწავლო პროცესის რეგულირების ცალკეული საკითხები წესრიგდება შიდა საუნივერსიტეტო ბრძანებებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ჩართულობით. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

3. დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი უფლებამოსილია მოახდინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება და დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავების შემდეგ დამტკიცოს აღნიშნული პროგრამა.

4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შეიძლება განისაზღვროს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

5. საგანმანათლებლო პროგრამა, ინიცირებიდან მისი საბოლოო სახით დამტკიცებამდე, გადის შემდეგ ეტაპებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის თაობაზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დადებითი დასკვნის წარმოდგენა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის სკოლის საბჭოზე განხილვა და მიღება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დამტკიცება რექტორის ან დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

6. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შინაარსის განსაზღვრისას, პროგრამის შემუშავებელი ჯგუფი ხელმძღვანელობს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპების და რეკომენდაციების შესაბამისად.

7. სამუშაო ჯგუფს კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

8. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავების შემდეგ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ამზადებს დასკვნას, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

9. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი წარედგინება უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, შესაბამისი რეკომენდაციებით, უბრუნდება სამუშაო ჯგუფს.

10. სკოლის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდეგ, პროგრამის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს ან დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

11. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს შესაბამის პროექტს, რომელშიც აღინიშნება ცვლილების არსი, აუცილებლობა და მოსალოდნელი შედეგები.

12. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების პროექტი წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროექტის თაობაზე დასკვნის მომზადებას დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის კოდიფიცირებულ პროექტს.

13. კოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დასკვნასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება ჯერ სკოლის საბჭოს, ხოლო შემდეგ რექტორს ან დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

#### **მუხლი 4. გაცვლითი და ერთობლივი პროგრამები**

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები.

2. უნივერსიტეტი უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რათა მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.

3. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში, როგორც პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

4. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უნივერსიტეტში, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

6. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი უნივერსიტეტს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

7. უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი პროგრამის განხორციელება დასაშვებია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 49<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

8. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში უნივერსიტეტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების აქტში გარდამავალი დებულების სახით გაითვალისწინოს მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების თარიღი კონკრეტულ პირთა წრესთან მიმართებით.

2. აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა იმავე პირობებით, რა პირობებითაც განხორციელდა მასთან ხელშეკრულების გაფორმება და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობის ახალი მოთხოვნებით.

3. თუ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება განპირობებულია დარგის სიახლით ან სახეზეა საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამას და მისი დაინტერესების შემთხვევაში, მასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ უკვე ათვისებული კომპონენტების თავსებადობის დადგენას მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და განსაზღვრავს მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისების სავალდებულობას. აღნიშნული, შესაძლოა, გახდეს სტუდენტის მხრიდან დამატებითი ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

## **მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**

1. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს, თუ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მისიას ან კანონმდებლობის მოთხოვნებს ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის პროგრამის განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება რექტორის აქტით.

2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის სტუდენტის მიერ განათლების სრულფასოვნად მიღება შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და კონსულტაციას სხვა დაწესებულებებში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების და მობილობის შესაძლებლობის შესახებ;

ბ) უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის მობილობას პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე;

გ) უნივერსიტეტი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით;

დ) უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას (არსებობის შემთხვევაში) შიდა მობილობის წესით.

## **მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო პროგრამაზე**

1. საბაკალავრო საფეხურზე უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, მობილობის წესით ჩარიცხვის გზით. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელია დადგენილ ვადებში ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების უნივერსიტეტში წარდგენა და რეგისტრაციის გავლა.

2. საბაკალავრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გზით უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში მიმართოს და წარადგინოს ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

5. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და

იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6. პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის მიუმართაობის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია, პირის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

### **მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო პროგრამაზე**

1. აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების ან დაშვების სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების/წარმატებით გადალახვის შემთხვევაში. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, ასევე შესაძლებელია მობილობის გზით. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის, აუცილებელია, დადგენილ ვადებში ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების უნივერსიტეტში წარდგენა და რეგისტრაციის გავლა.

2. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რექტორის აქტით დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადაში.

3. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

4. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საგამოცდო თემატიკას შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს სკოლის დეკანს, რომელიც ითანხმებს მას და შეთანხმებული თემატიკა გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზების, სააპელაციო განცხადებების წარდგენის ვადები და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება რექტორის აქტით. პრეტენზიების წარდგენის პერიოდის ხანგრძლივობა, არ შეიძლება იყოს 3 კალენდარულ დღეზე ნაკლები უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან. უნივერსიტეტი, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

6. თუ საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია უცხო ენის განსაზღვრული დონე, შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე შესაბამისი ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით, ან შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით (შესაბამისი დამადასტურებელი

დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში), რაც ათავისუფლებს სტუდენტს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისაგან.

7. სამაგისტრო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

8. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

9. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ, დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სადოქტორო პროგრამაზე**

1. აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. სადოქტორო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

3. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო სერთიფიკატით შესაბამის უცხო ენაში, ასევე, თუ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ნასწავლი აქვს შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სულ მცირე, ერთი სემესტრი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და განხორციელების პირობები წესრიგდება დოქტორანტურის დებულებებით. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის, აუცილებელია, დადგენილ ვადებში ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების უნივერსიტეტში წარდგენა და რეგისტრაციის გავლა.

### **მუხლი 10. აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა და სტუდენტის ხელშეკრულება**

1. პირი, რომელიც მოიპოვებს დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას, რეგისტრაციის გასავლელად უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ფოტოსურათი  $\frac{3}{4}$  (2 ცალი), ამასთან, კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ვერსია;

გ) წინა საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; ატესტატი - დედანი, ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჭებისთვის);

ე) საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის რეგულირების და სტუდენტთა მომსახურების სამმართველო უზრუნველყოფს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული პირებთან ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო ამ წესის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს შესაბამისი სკოლა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სტუდენტი მოიპოვებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლებას.

4. პირს სტატუსის მოპოვების შემდეგ გადაეცემა სტუდენტური ბარათი, რომლის დაკარგვის შემთხვევაშიც სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ გამოცდების ცენტრს აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი იხდის ახალი სტუდენტური ბარათის დამზადების საფასურს 15 ლარის ოდენობით.

### **მუხლი 11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი**

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში ასათვისებელ სასწავლო კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების სემესტრის, სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების და შეფასების პირობების და სხვა აუცილებელი საკითხების შესახებ, სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნის, საჭიროების და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პროცესში მის თავისუფლად მონაწილეობას.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობის, სტუდენტის სხვა სახის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეწყობის მიზნით.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს - სკოლას. გეგმის შედგენის ინიციატორი შესაძლებელია იყოს შესაბამისი სკოლა, რის შესახებაც ეცნობება სტუდენტს.

4. სტუდენტის ინდივიდუალური, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებით მატერიალური რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა და დამატებითი ადამიანური რესურსის გათვალისწინების აუცილებლობა, რის შესახებაც ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავებას უზრუნველყოფს შესაბამისი სკოლა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის და შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტის ჩართულობით.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საბოლოო ვერსია დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსისა და სტუდენტის ხელმოწერით. სკოლის შესაბამისი თანამშრომელი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს მიმართავს მოდიფიცირების ინიციატივით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი შედგენისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

## **მუხლი 12. აკადემიური კალენდარი**

1. აკადემიური კალენდარი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. შესაძლებელია, სემესტრის ხანგრძლივობა და ვადები განსხვავებული სახით მოწესრიგდეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის.

3. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, რექტორის ბრძანებით, ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება დადგინდეს სასწავლო პროცესის განსხვავებული ვადები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

## **მუხლი 13. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია**

1. სასწავლო პროცესში ჩასართავად სტუდენტმა სემესტრულად უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.

2. უნივერსიტეტში სტუდენტების ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

4. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტისთვის სწავლის საფასურის დაკისრება ხდება შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) პროგრამით გათვალისწინებული გეგმიური ვადის განმავლობაში სტუდენტს ეკისრება სწავლების სემესტრული საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის დამატებით იხდის შესაბამისი მოცულობის კრედიტების ღირებულებას (თუ შესაბამის სემესტრში გასაწვევი მომსახურება აღემატება 30 კრედიტს). სტუდენტი ვალდებულია სრულად აილოს 30 კრედიტის მოცულობის საგნები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო კურსზე დარეგისტრირებას, უნივერსიტეტი ვერ სთავაზობს შესაბამის სასწავლო კურსს შესაბამის სემესტრში, სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი იხდის სწავლის სემესტრულ საფასურს, თუმცა, მიუღებელი მომსახურების საფასურის გამოყენება შეუძლია პროგრამის გავლისათვის დადგენილი მაქსიმალური ვადის განმავლობაში.

ბ) თუ პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, სემესტრულად 30 კრედიტზე დარეგისტრირება შეუძლებელია, სტუდენტს ერიცხება სწავლის სემესტრული საფასური და შესაძლებელია, მისი სემესტრული დატვირთვა მცირედით აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს 30 კრედიტზე. აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტის დავალიანება უნივერსიტეტის წინაშე შეიძლება დაკორექტირდეს ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად (მომდევნო სემესტრში წარმოეშვას უფრო ნაკლები თანხის გადახდის ვალდებულება ან პირიქით), ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი ფორმულის გათვალისწინებით.

გ) დამატებით სემესტრში დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტი მომსახურების საფასურს იხდის, შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების მოცულობის შესაბამისად. დამატებით სემესტრში განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტის დატვირთვისათვის დადგენილი კრედიტების მოცულობის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია, დარეგისტრირდეს შესაბამის სემესტრში შეთავაზებულ ყველა კომპონენტზე, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გასაწველი აქვს.

5. თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შეთანხმება. გრაფიკის დარღვევა გამოიწვევს ფინანსური ვალდებულების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას და მიმდინარე სემესტრში უკვე გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს არ დაუბრუნდება. სწავლის საფასურის გადაუხდელობის/ინდივიდუალური გრაფიკის დარღვევის გამო სტუდენტის



სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა, არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება ან უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს.

7. სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ფინანსური ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი სახით:

ა) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს შეუძლია მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დაბრუნება ან სტატუსის აღდგენის შემდეგ - შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა;

ბ) თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს შუალედური გამოცდის ჩატარებამდე, სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის 50%-ის დაბრუნება;

გ) შუალედური გამოცდის დაწყებიდან სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსშეჩერებული პირი კარგავს სწავლის საფასურის დაბრუნების უფლებას.

8. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას. სტუდენტი ასევე უფლებამოსილია, აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით, მიმართოს შესაბამის სკოლას და შეავსოს რეგისტრაციისთვის განკუთვნილი განაცხადი. აღნიშნული სერვისით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში შესაძლებელია სასწავლო კურსებზე განაცხადის გაუქმება და მის ნაცვლად სხვა სასწავლო კურსზე დარეგისტრირება.

9. სტუდენტს სასწავლო გეგმა შეეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხოლო თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია მობილობის გზით ან მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (აკადემიური ჩამორჩენა და ა.შ.), უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელი გეგმა-გრაფიკის შეთავაზებას, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.

10. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, სემესტრული გრაფიკის შედგენისას, მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელ სასწავლო კურსებზე გადის იგი რეგისტრაციას (სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენა, შესაბამის სემესტრში გაუთვალისწინებელი სასწავლო კურსები).

11. შესაბამისი გარემოების დადგომისას, ერთი კრედიტის ღირებულება ანგარიშდება ფორმულით: ა) პროგრამით გათვალისწინებული გეგმიურ ვადაში ან სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის წესით ჩარიცხული პირებისათვის ფორმულით: სწავლების წლიური საფასური გაყოფილი 60-ზე, ბ) დამატებითი სემესტრის შემთხვევაში ფორმულით: სწავლების წლიური საფასური გაყოფილი 30-ზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო კურსზე დარეგისტრირებას, უნივერსიტეტი ვერ სთავაზობს შესაბამის სასწავლო კურსს შესაბამის სემესტრში.

12. თუ სტუდენტი სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით და მის ანგარიშზე სრულად ჩამორიცხა სახელმწიფო გრანტი, ხოლო სტუდენტი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიურ რეგისტრაციას გადის 30-ზე ნაკლებ კრედიტზე, სტუდენტს უნარჩუნდება გრანტის სახით მიღებული დარჩენილი კრედიტების რაოდენობის ღირებულება და შეუძლია მისი გამოყენება პროგრამით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

#### **მუხლი 14. დამატებითი სემესტრის გავლა**

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის ხარისხს, უფლება აქვს მომდევნო ოთხი სემესტრის მანძილზე თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა. ამასთან, ობიექტური გარემოების არსებობისას, რაც არ უკავშირდება სტუდენტის აკადემიურ მოუსწრებლობას სკოლის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნული ვადა აღემატებოდეს ოთხ დამატებით სემესტრს, მაგრამ არ უნდა იყოს ექვს სემესტრზე მეტი.

2. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.

3. დამატებით სემესტრში სტუდენტის დატვირთვა არ უნდა იყოს 15 კრედიტზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტს ასათვისებელი აქვს მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის კრედიტები ან მიმდინარე სემესტრში შესაბამის ასათვისებელ კომპონენტზე დარეგისტრირება შეუძლებელია.

#### **მუხლი 15. სტუდენტის უფლება-მოვალეობები**

1. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;
- ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ზ) ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- თ) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- ი) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- კ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- ლ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- მ) თვითდაფინანსების პირობებში გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტის ფარგლებში მიღებული როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფასება, შესაბამისი კომპონენტის განმეორებით გავლის გზით;
- ნ) საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტს აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით

2. უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სტიპენდიის დანიშვნის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

3. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტები.

4. სტუდენტი აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. საჩივარი განსახილველად გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საქმის გარემოებების შესწავლას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად და ობიექტურად შესწავლის მიზნით სტუდენტისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

### **მუხლი 16. სტუდენტის მიღწევების შეფასება**

1. კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტის მინიჭება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის ფარგლებში. დაუშვებელია შესაბამისი კრედიტის გაყოფა და მისი ნაწილ-ნაწილ მინიჭება. დისერტაცია და სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

3. სასწავლო კურსში სტუდენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს. მათ შორის, შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.

4. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურ გამოცდას (30 ქულა), მიმდინარე ყოველკვირეულად/ყოველ მომდევნო კვირას გამოკითხვებს სემინარებზე (20 ქულა) და პრეზენტაციას - 10 ქულა.

5. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ჯამით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მოიპოვოს არანაკლებ 21 ქულა.

6. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი ვალდებულია, რეგულარულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის შეფასებების ასახვა.

7. საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე ვერ მიიღო ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასება, მაგრამ შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 41-50 უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

9. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული წესი არ ვცვლდება დისერტაციის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

11. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება შუალედური შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მათი ხვედრითი წილი შეფასების საერთო სისტემაში. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება დადგინდეს შეფასების განსხვავებული სისტემა/მინიმალური კომპეტენციის ზღვრები შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის.

12. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესის ორგანიზებას ახორციელებს გამოცდების ცენტრი რექტორის აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

13. შუალედური/დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს რექტორის აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

14. სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასება ხორციელდება დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

## **მუხლი 17. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით, გათავისუფლებას. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ჩერდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების განმავლობაში მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულებები წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა და ა.შ.).

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების, ამ წესის და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელია, ფინანსური დავალიანება;

გ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ვ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის აქტით, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) ასახვას გამოცემიდან

არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს გამოცდების ცენტრი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი.

### **მუხლი 18. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

1. ამ წესით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი.

2. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, იმავე პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა აღარ ხორციელდება და სტუდენტი, სტატუსის აღდგენასთან ერთად, სარგებლობს შიდა მობილობით.

3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია შუალედური გამოცდის დაწყებამდე.

4. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და გამოცდების ცენტრი რეესტრში შესაბამისი მონაცემების ასახვას უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენის შესახებ აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

5. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

### **მუხლი 19. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

გ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რაც გამორიცხავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;

დ) ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა, რომლის საფუძველზეც სტუდენტს, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ შეეფარდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ე) პირადი განცხადება;

ვ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

თ) გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტილ პირს არ უზრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემისას, სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს უნივერსიტეტიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რეესტრში აისახება გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

## **მუხლი 20. მობილობის უფლების მქონე პირი**

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელმაც რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

3. მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტი სარგებლობს შიდა მობილობით.

4. სამაგისტრო საფეხურზე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

5. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

## **მუხლი 21. მობილობის პროცესის ადმინისტრირება**

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისი სკოლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - სისტემა) უფროსი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს მობილობის მსურველ პირთა ადგილების საამისოდ განსაზღვრული ფორმით რეგისტრაციას.

2. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მობილობის მსურველის მიერ დაწესებულებაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობები (საჭიროების შემთხვევაში), რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. წინაპირობები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება შესაბამის სკოლას, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოსთვის.

3. უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუზიაროს დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.

4. აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის

მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს, სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მიმღები პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან (არსებობის შემთხვევაში) და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.

5. კრედიტების აღიარება ფორმდება აღიარების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

7. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

9. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე. უნივერსიტეტი რეესტრში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

10. ბრძანების პროექტზე სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სისტემაში.

11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

## **მუხლი 22. შიდა მობილობა**

1. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

2. შიდა მობილობა შესაძლებელია პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ.

3. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, პროცედურა და ვადები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, თუ შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

5. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი და აღიარების კომისია ამავე წესით გათვალისწინებული კრედიტების აღიარების დებულებების დაცვით, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

6. უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა, სტუდენტთან შეთანხმებით, ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და მონაცემები აისახება რეესტრში.

7. შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, აღიარების კომისია ვალდებულია, შეამოწმოს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.

8. სტუდენტის შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ფორმდება რექტორის აქტით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია 2 კვირის ვადაში ინფორმაცია მიაწოდოს სისტემას.

### **მუხლი 23. მიღებული განათლების აღიარება**

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის განათლების აღიარებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება, რომლის საფუძველზეც ცენტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ და უგზავნის უნივერსიტეტს.

2. საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება უნივერსიტეტის აღიარების კომისიის მიერ, ამავე წესისა და კრედიტების აღიარების წესის დაცვით.

3. უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი.

### **მუხლი 24. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება**

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია,

2. გადაწყვეტილებას ბაკალავრის და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ იღებს უნივერსიტეტის სკოლის საბჭო, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ - სკოლის სადისერტაციო საბჭო.

3. სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.



4. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.

5. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის მომზადებასთან, გაცემასთან და განადგურებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „დიპლომების გაცემის წესის“ შესაბამისად.

### **მუხლი 25. საშუალო შეწონილი ნიშნის (GPA) დაანგარიშების წესი**

1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის / მაგისტრატურის / დოქტორანტურის კურსდამთავრებულებზე გაიცემა ორი სახის დიპლომი - „წარჩინების“ და ე.წ. „ჩვეულებრივი“

2. საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასების ანულირება ხდება იმავე სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის და დადებითი შეფასების მიღების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების GPA–თან შესაბამისობა დგინდება შემდეგი პრინციპით:

ქულა	GPA
91 -100	4.0
81 - 90	3.5
71 - 80	3.0
61 -70	2.5
51 - 60	2.0
41-50	1.5
0-40	0

3. დაანგარიშება ხდება შემდეგი წესით: სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასების GPA მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე (მათ შორის უარყოფითი შეფასება); სასწავლო კომპონენტების კრედიტების ნამრავლი იყოფა იმ სასწავლო კომპონენტების კრედიტების საერთო რაოდენობაზე, რომელზეც დარეგისტრირებული იყო სტუდენტი. მიღებული სიდიდე არის საშუალო (შეწონილი) ქულა (GPA). კურსდამთავრებული უფლებამოსილია დიპლომის დანართის შედგენისას მოითხოვოს, რომ GPA-ის გამოთვლისას არ იქნეს გათვალისწინებული მისი უარყოფითი შეფასება იმ შემთხვევაში, თუ მას მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების აუცილებელი რაოდენობა.

4. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებზე წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დიპლომის საშუალო (შეწონილი) ქულა (GPA) არანაკლებია 3.5-ზე, ამასთანავე დიპლომის დანართის შეფასებებში არ არის არცერთი „D“ და „E“ შეფასება; სხვა პირობებში კურსდამთავრებულზე გაიცემა ე.წ. „ჩვეულებრივი“ დიპლომი.

5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულზე წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომში მიღებული აქვს შეფასება ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი.

6. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომის სახის განსაზღვრის მიზნით GPA გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად მიღებული დადებითი შეფასებები, ხოლო თუ სტუდენტმა სწავლის პერიოდში გააუმჯობესა სასწავლო კურსში მიღებული შეფასება - შესაბამისი საბოლოო შეფასება.